

# ადგილობრივი თვითმმართველობის ბანკითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ფაქტიურად წარმოუდგენელია ადგილობრივ თვითმმართველობებში სოციალურ—ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გარეშე. მაინც რაში გამოიხატება სოციალურ—ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება?

ეს ძირითადად მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობებში მცხოვრები პირების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. გაუმჯობესება მიიღწევა იმ შემთხვევაში როცა გაიზრდება მოქალაქეთა დასაქმების დონე, შემცირდება უმუშევრობა, გაიზრდება ინვესტიციების რაოდენობა, აღორძინდება მწარმოებითი სექტორი, ადგილებზე შეიქმნება ექსპორტისთვის განკუთვნილი კონკურენტუნარიანი პროდუქცია, გაუმჯობესდება მოქალაქეთა კომუნალური, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული მომსახურების დონე, თანამედროვე ევროპულ დონეს მიუახლოვდება მოქალაქეთა უზრუნველყოფა ჯანმრთელობის სფეროში, გაუმჯობესდება ადგილობრივი ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა.



**ზორის შიჭინაძე**

ეკონომიკის დოქტორი,  
აკაკინერეთლის სახელობის  
ქუთაისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მასწავლებელი,  
საქართველოს ეკონომისტთა  
სამეცნიერო  
საზოგადოების წევრი

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა გამართული და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ორიენტირებული კანონების მიღება, რაშიდაც თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის 101<sup>2</sup>-ე მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებანი გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები და უფლებამოსილებანი დგინდება ორგანული კანონით.

აღნიშნული მუხლის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისთვის უფლებამოსილებათა დელეგირება დასაშვებია საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, რომელთა ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება კანონით.

იმავე კონსტიტუციის 101<sup>3</sup>-ე მუხლის მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები. თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარ-

გლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. სახელმწიფო ზედამხედველობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დელეგირებული უფლებამოსილებების ჯეროვანი განხორციელება. სახელმწიფო ზედამხედველობა ხორციელდება მისი მიზნების პროპორციულად.

როგორც ვხედავთ, საქართველოში მოქმედ ძირითად კანონში—კონსტიტუციაში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითად პრინციპებს და უფლებამოსილებებს, ის დგინდება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით.

საქართველოში დღეს მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორ-

**თვითმმართველობა**

ციელდება მუნიციპალიტეტებში—თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში.

ამავე კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებები იგივე ექსკლუზიური უფლებამოსილებებია. საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ცენტრალური ხელისუფლებიდან ლეზულობენ გათანაბრებით ტრანსფერს. ხოლო დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად ლეზულობენ მიზნობრივ ტრანსფერს.

მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალი მოცემულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლში. საკუთარი უფლებამოსილებებიდან შეგვიძლია გამოვყოთ ძირითადი უფლებამოსილებები, როგორცაა:

**1. ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლის და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა კანონით დადგენილი წესით;**

**2. მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა. ქალაქმთენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;**

**3. ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება;**

**4. გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;**

**5. გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;**

**6. სასაფლაოების მოწყობა და მოვლა—პატრონობა;**

**7. ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ბავშვებისა და მოზუცებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;**

**8. უსახლკართა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;**

**9. წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება.**

აქ მოვიყვანე მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების ის ნაწილი, რომელთა უმრავლესობა თითქმის არცერთ მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია ადგილობრივი საკუთარი ფინანსების უკმარისობით და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების არაოპერატიულობით. ზემოაღნიშნული საკითხების მოუგვარებლობა კი ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გარდა ზემოაღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებებისა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლის მე-4 ნაწილით უფლება აქვს განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერისა და სხვა მიზნით.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივ თვითმმართველობებს, კანონით გათვალისწინებული საკუთარი უფლებამოსილებების გარდა, უფლება აქვთ განახორციელონ ზემოაღნიშნული ღონისძიებებიც, მაგრამ პრაქტიკაში მდგომარეობა სულ სხვაგვარადაა, ადგილობრივი თვითმმართველობები ხშირ შემთხვევაში არათუ დამატებით, არამედ მათ ექსკლუზიურ უფლებამოსილებებსაც ვერ ახორციელებენ. ეს ძირითადად გამოწვეულია ადგილობრივი ფინანსური რესურსების სიმცირით, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობებს გააჩნიათ საკუთარი უფლებამოსილებები და მათ უზრუნველსაყოფად ცენტრალური ბიუჯეტიდან ეძლევათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ეს ვერ უზრუნველყოფს თვითმმართველობების წინაშე მდგარი საკითხების დროულ და ეფექტურ გადაწყვეტას. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს თვითმმართველობებისთვის გადასაცემი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა, რომელიც დადგენილია ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №904 ბრძანებით (გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე). აღნიშნული ბრძანებით თვითმმართველობებისთვის გადასაცემი ტრანსფერი გაინგარიშება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დამტკიცებული ფორმულის მიხედვით, ეს ფორმულაა  $T=E-R$ ,  $T$  არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერი,  $E$  არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი,  $R$  არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა), რომელიც ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაინგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლის ტენდენციის მიხედვით.

2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის გადასაცემი ტრანსფერის ოდენობა მოცემულია ცხრილ №1-ში.

№	დასახელება	სულ ტრანსფერი	მათ შორის გათანაბრებითი	მათ შორის მიზნობრივი	მათ შორის სპეციალური
1	ავტონომ. რესპუბლიკა თვითმმართველთა ერთეულები	854,800.0	834,233.0	11,567.0	9,000.0 ავზაზეთის ავტონომ. რესპუბლიკის

ცხრილი №2

№	დასახელება	სულ 2015 წელს გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერი	მოსახლეობის რაოდენობა 01.01.2015 წლისთვის	ტრანსფერის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2015 წელს
1	თბილისის მუნიციპალიტეტი	412,282.2	1 118 000	368.80 ლარი
2	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	6,985.4	54 100	129.10 ლარი
3	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	6,549.5	57 600	113.70 ლარი
4	მარტვილის მუნიციპალიტეტი	5,322.5	33 400	159.40 ლარი
5	ქარელის მუნიციპალიტეტი	6,177.0	41 300	149.60 ლარი
6	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	3,741.4	82 200	45.50 ლარი
7	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	5,881.1	31 400	187.30 ლარი
8	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	6,332.7	44 900	141 ლარი
9	ცაგერის მუნიციპალიტეტი	4,081.8	10 300	396.30 ლარი
10	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	718.1	3 700	194.10 ლარი

მეტად საინტერესო სურათს ვღებულობთ, თუ გავანალიზებთ კონკრეტული თვითმმართველობებისთვის გადასაცემი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობებს, მათ შორის, თბილისისთვის გათვალისწინებული ტრანსფერის ჩათვლით. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანეთ ინფორმაცია თითოეული რეგიონიდან ერთი მუნიციპალიტეტის. მონაცემები მოცემულია ცხრილ №2-ში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთ სულ მოსახლეზე თბილისში 2015 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა შეადგენს 369 ლარს, ხოლო საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში ერთ სულ მოსახლეზე გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა საშუალოდ 170 ლარია. მიუხედავად იმისა, რომ გათანაბრებითი ტრანსფერის გარდა, ადგილობრივ თვითმმართველობებს გააჩნიათ ქონების გადასახადებიდან და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლები. ისინი საკუთარი ფინანსური რესურსების სიმცირეს განიცდიან. საქართველოს თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლების დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლები გადასახადების და მოსაკრებლების

ჩათვლით (გათანაბრებითი ტრანსფერის გარეშე) შეადგენს თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 20 %-ს, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია (საშუალო ევროპული მაჩვენებელი შეადგენს 35-40 %-ს). გამომდინარე აქედან, დაბალია თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის ხარისხი, რაც თვითმმართველობების ცენტრზე და გუბერნიაზე დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად ზრდის. შექმნილი მდგომარეობა კი საფრთხის ქვეშ აყენებს კანონმდებლობით აღიარებული თვითმმართველობების ბიუჯეტების დამოუკიდებლობას.

ამ მიმართულებით საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის გაზრდის კუთხით, რაც პირველ ეტაპზე საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან (ამ ეტაპისათვის 30%-ის ოდენობით) გარკვეული ანარიცხების თვითმმართველობების ბიუჯეტებში ჩარიცხვაში უნდა გამოიხატოს.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია თვითმმართველობებმა შეადგინონ თავისი ტერიტორიების სტრატეგიული განვითარების მოკ-

ლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები. ნლების განმავლობაში ამ გეგმების შედგენა პრობლემებთან იყო დაკავშირებული, რაც ძირითადად გამოიხატებოდა იმაში, რომ თვითმმართველობებში არჩევნების გზით მოსული ყოველი ახალი მთავრობა არ ახდენდა მისი წინამორბედის მიერ დაწყებული საქმიეების გაგრძელებას და ახალ ხედვებს აყალიბებდა, რაც მთლიანობაში სტრატეგიული გეგმების შედგენა-დამტკიცებას აფერხებდა. საჭიროა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რადგანაც თუ არ იქნება თვითმმართველობების სტრატეგიული გეგმები და არ გაიზრდება თვითმმართველობებს შორის კონკურენტუნარიანობის ხარისხი, მაშინ აზრს დაკარგავს თვითმმართველობის მცნებაც, ეს კი საქართველოს ავტორიტეტს პარტნიორი ევროპული ქვეყნების თვალში მნიშვნელოვნად შეასუსტებს. ამ მიმართულებით უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ცენტრალურ ხელისუფლებას, ამას გვაავალდებულებს ასევე ევროპასთან ხელმოწერილი „ასოციაციის ხელშეკრულება“.

ამჟამად მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ.“ ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას და განხორციელებას.

თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ამ ეტაპისათვის ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ შედგენილ უნდა იქნეს სტრატეგიული განვითარების გეგმები. სტრატეგიული გეგმა უნდა შედგებოდეს შემდეგი ინდიკატორებისგან.

1. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება
  - ა. მოსახლეობის სტრუქტურა.
  - ბ. მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებელი.
2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ბაზა.
  - ა. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.
  - ბ. დასაქმება.
  - გ. მცირე და საშუალო ბიზნესი.
  - დ. საინვესტიციო საქმიანობა.
  - ე. საშუამავლო საქმიანობა.
3. მუნიციპალური ფინანსები, არასაცხოვრებელი ფონდები და მიწათსარგებლობა.
  - ა. მუნიციპალური ბიუჯეტი.
  - ბ. მუნიციპალური არასაცხოვრებელი უძრავ-მოძრავი ქონება და მიწათსარგებლობა.
  - გ. მოზიდული გრანტები.
4. მომსახურების სფერო და საქალაქო მეურნეობა.
  - ა. საცხოვრებელი და მისი ხელმისაწვდომობა.
  - ბ. საცხოვრებლის კომუნალური მომსახურება.
  - გ. სატრანსპორტო მომსახურება.
  - დ. კავშირგაბმულობის მომსახურება.

- ე. კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურება.
- ვ. სოციალური დაცვა.
- ზ. ჯანდაცვა.
- თ. განათლება.
- ი. წესრიგის დაცვა.
- კ. ეკოლოგია.
- ლ. ვაჭრობა.
- მ. კეთილმოწყობა.
- ნ. საკონსულტაციო მომსახურება.
- ო. გადამზადების ცენტრები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული გეგმის შედგენას გააჩნია თავისი ეტაპები და საფეხურები.

**პირველი ეტაპი მოიცავს** სტრატეგიული გეგმის კონცეფციის დამუშავებას, რომელსაც ჭირდება 2–5 თვე. აღნიშნულ პერიოდში საჭიროა მუნიციპალიტეტების რესურსული პოტენციალის განსაზღვრა, პროგნოზების შედგენა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს დემოგრაფიას, სიცოცხლის დონეს და ქალაქის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას. ასევე ქალაქის განვითარების კონცეფციის ფორმირებას და შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრას.

**მეორე ეტაპი მოიცავს** სტრატეგიული გეგმის შედგენას, რომელსაც ჭირდება 6–7 თვე. აღნიშნულ პერიოდში უნდა დამუშავდეს სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამები. უნდა განისაზღვროს საჭირო თანხების და მოსაზიდი ფულადი რესურსების სტრუქტურა. უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმის გრაფიკი, შემდეგ უნდა მოხდეს ამ ატრატეგიული გეგმის განხილვა და საკრებულოებში დამტკიცება.

**მესამე ეტაპი** მოიცავს სტრატეგიული გეგმის რეალიზაციას და მონიტორინგს. ამ პერიოდში ხდება დასახული გეგმების შესრულების მონიტორინგი, თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდული შესწავლა და მიღებული შედეგების დასახულ მიზნებთან შედარება.

ჩემი აზრით, ამ ეტაპზე თვითმმართველობების დონეზე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- 1) თვითმმართველობების საშემოსავლო ბაზის გაძლიერების მიზნით, კანონით მკაცრად უნდა განისაზღვროს სახელმწიფო გადასახადებიდან (ამ ეტაპისათვის მოგების და საშემოსავლო გადასახადებიდან) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში ჩასარიცხი პროცენტული ანარიცხების ოდენობები;
- 2) ამ ეტაპზე, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება თვითმმართველობის მოქმედ კანონში, რათა მნიშვნელოვნად გაიმიჯნოს ცენტრისა და თვითმმართველობების კომპეტენციები, ასევე დასახვეწიანა თვითმმართველობებისათვის გადასარიცხი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა, რათა თვითმმართველობებმა მიიღონ ტრანსფერის ის ოდენობა, რომელიც მათ ეკუთვნით;
- 3) დასახვეწიანა კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კანონით შეღავათები

უნდა დაუნესდეთ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც განათავსებენ კაპიტალს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, აღნიშნული მიდგომა მათთვის ერთგვარი სტიმული იქნება;

4) ადგილობრივი თვითმმართველობების სტრატეგიული გეგმების შედგენის უზრუნველსაყოფად საჭიროა შედგეს ქალაქების პასპორტები, სადაც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური შესაძლებლობების, ეკოლოგიური მდგომარეობის, ადამიანური და ბუნებრივი კაპიტალის შესახებ;

5) აუცილებელი საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციების გაზრდა მოსახლეობის დასაქმების და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. საჭიროა ადგილობრივი გადამზადების ცენტრების და პროფესიული სასწავლებლების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმება და დასაქმებული პირების სისტემატური გადამზადება, ამისათვის კი საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოხდეს მუნიციპალიტეტების შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა;

6) მუნიციპალიტეტებში სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების სრულყოფის მიზნით საჭიროა შეიქმნას ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურები, რადგანაც ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ვერ ფლობენ ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განთავსებული ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების, ასევე არსებული საწარმოების და მათ ბალანსზე რიცხული ქონების შესახებ, მაშინ როდესაც ამ საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონება წარმოადგენს ადგილობრივი ბი-

უჯეტების ქონების გადასახადის ძირითად წყაროს. სწორედ მუნიციპალური სტატისტიკური სამსახურები უნდა აწვდიდეს თვითმმართველობებს სწორ და უტყუარ ინფორმაციას თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრავი ინდიკატორების შესახებ. აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციები შემდეგ ასახვას ჰპოვებს შესაბამისი თვითმმართველობების მიერ დამტკიცებულ პროგრამულ ბიუჯეტებში.

7) სისტემატურად მოხდეს თვითმმართველობებში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის დონის ამაღლება. საჭიროა აღინიშნოს, რომ წინა წლებში ამ მიმართულებით თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან ფაქტიურად ერთი ლარი არ დახარჯულა.

8) თვითმმართველობების მიერ მოხდეს უცხოეთის დამეგობრებული ქალაქების გამოცდილების გაზიარება, იქ არსებული ტექნოლოგიური მიღწევების ჩვენთან დანერგვის მიმართულებით. საჭიროების შემთხვევაში შეიქმნას ერთობლივი საწარმოები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ხარისხს. დღეისათვის ამ მიმართულებით თვითმმართველობებში არსებული მდგომარეობა მეტად სავალალოა და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

9) თვითმმართველობებმა არსებული კანონმდებლობის ფარგლებში მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი ინვესტიციების მოზიდვას.

10) თვითმმართველობებმა შეადგინონ შესაბამისი ტურისტული რუქები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის თვითმმართველობების ცნობადობას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.
2. საქართველოს „საბიუჯეტო კოდექსი“.
3. საქართველოს „საგადასახადო კოდექსი“.

**THE DEVELOPMENT PROBLEMS OF SELF-GOVERNMENT INSTITUTIONS IN GEORGIA AND FUTURE PERSPECTIVES**

**Boris Chichinadze**  
Doctor of economics

Lecturer of Akaki Tsereteli State University of Kutaisi

**SUMMARY**

Despite of the reforms passed during the last 20 years in Georgia additional reforms are needed for the future development of self-government institutions, The government has a lot to do to solve social-ecomical problems and improve situation in this regard.